



# WWW.MY.GOV.GE

## საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #69

ნომბერი, 2018

### გამოშვებაში

1 საქართველომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან კიბერუსაფრთხოების სფეროში ახალი პროექტების განხორციელება დაიწყო

2 ყვარელში საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის მე-6 შეხვედრა ჩატარდა

3 ონლაინ კიბერლაბორატორია - კიბერსავარჯიშოების პორტალი WWW.CYBER-LAB.TECH

4 CERT-GOV-GE-ის წარმომადგენლებმა საერთაშორისო კიბერსავარჯიშოში მიიღეს მონაწილეობა

5 სხვა სიახლეები


### საქართველომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან კიბერუსაფრთხოების სფეროში ახალი პროექტების განხორციელება დაიწყო



საქართველოს მთავრობამ კიბერუსაფრთხოების სფეროში გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი თანამშრომლობითი პროექტები დაიწყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შესაბამის უწყებებთან. ამ პროექტების ფარგლებში ბრიტანელი

ექსპერტების ჩართულობით იგეგმება არაერთი სასწავლო ვიზიტი, სამუშაო შეხვედრა და სემინარი, რის შედეგადაც მოხდება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, საქართველოს კიბერსივრცის უსაფრთხოების გაძლიერებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა, სასწავლო სავარჯიშოების, ტრენინგებისა და კვლევითი აქტივობების ორგანიზება.

სწორედ ამ თანამშრომლობის საწყისი ფაზის ფარგლებში, მიმდინარე წლის 20-22 ნომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში გაწეული აქტიური მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ კვლევით-შეფასებითი ვიზიტით თბილისში ჩამოვიდნენ ოქსფორდის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების გლობალური ცენტრის (GCSCC - The Global Cyber Security Capacity Centre) წარმომადგენლები. ეს ორგანიზაცია ერთ-ერთი მოწინავე საერთაშორისო კვლევითი ცენტრია კიბერუსაფრთხოების მიმართულებით და უკვე შეფასებული აქვს არაერთი ქვეყნის კიბერუსაფრთხოების განვითარების დონე (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ამჯერად GCSCC-ის ვიზიტის მიზანი საქართველოს კიბერუსაფრთხოების განვითარების შესწავლა, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების, საფრთხეებისა და ხარვეზების გამოკვლევა და მათ გამოსასწორებლად კონკრეტული რეკომენდაციებისა და ინიციატივების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა იყო. ამ მიზნის მისაღწევად GCSCC-ის წარმომადგენლები შეხვდნენ საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე აკადემიურ სექტორს, რათა ყველა შესაძლო დაინტერესებულ მხარესთან და უფლებამოსილ უწყებებთან შემდგარიყო უშუალო კომუნიკაცია და დოკუმენტური მასალებითა და ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებით მომზადებულიყო საქართველოში არსებული კიბერუსაფრთხოების გარემოს შეფასებითი დოკუმენტი.

„ბრიტანულ მხარესთან ერთად კიბერუსაფრთხოების სფეროში ვიწყებთ უაღრესად მნიშვნელოვან პროექტებს. ეს არის ჩვენი სააგენტოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გაწეული სამუშაოების შედეგი, რომლის დროსაც არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა თუ სამუშაო შეხვედრაზე ხდებოდა საქართველოს მიერ კიბერუსაფრთხოების სფეროში განხორციელებული ინიციატივების წარდგენა და ინფორმაციის გაცვლა. თბილისში გამართულმა პირველმა შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საჯარო, ისე კერძო და აკადემიურ წრეებში. გვქონდა ძალიან ნაყოფიერი კომუნიკაცია და ვიმედოვნებთ, რომ ეს თანამშრომლობა სამომავლოდაც წარმატებით გაგრძელდება, რაც საქართველოს, როგორც საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების საზოგადოების აქტიური წევრის როლს კიდევ უფრო გაზრდის“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

თბილისში გამართული შეხვედრების შემდეგ, ბრიტანელი ექსპერტები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადებენ დოკუმენტის პირველად ვერსიას საქართველოში კიბერუსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგაც გაგრძელდება პროექტების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

## ყვარელში საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის მე-6 შეხვედრა ჩატარდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინიციატივითა და კომპანია ISSP-ის მხარდაჭერით იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის მე-6 შეხვედრა ჩატარდა.

დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყების წინაშე კიბერუსაფრთხოების

უზრუნველყოფასთან დაკავშირებული არაერთი გამოწვევა დგას. ამ გამოწვევებთან უფრო ეფექტიანად გასამკლავებლად კიბერუსაფრთხოების ფორუმი, რომელიც კერძო და საჯარო უწყებების პარტნიორობის კარგი მაგალითია, ყოველწლიურად იკრიბება და განიხილავს ისეთ თემებს, როგორებიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების დაცულობა, კიბერუსაფრთხოების დონის გაზრდისა და კიბერინციდენტებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმების შემუშავება, კიბერდანაშაულის პრევენციის გზები და საშუალებები, კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ახალი პროექტები, სერვისები და სხვა (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) „კიბერსივრცე, ნებისმიერი სხვა სივრცის მსგავსად, შესაბამის დაცვას საჭიროებს. კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილი მექანიზმების არსებობა და შეთანხმებული მოქმედება. ფორუმის მთავარი მიზანია გავაღრმავოთ საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, ერთობლივად დავაიდენტიფიციროთ საქართველოს კიბერსივრცეში არსებული რისკები და საფრთხეები და ვიმსჯელოთ მათი განეიტრალების მექანიზმებზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ფორუმი ზუსტად ის პლატფორმაა, რომელიც როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროექტები ერთმანეთს გააცნოს,“ - აცხადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე ნიკოლოზ გაგნიძე.

ფორუმის მუშაობაში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან დარგის 50-მდე სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინიციატივით 2012 წელს ჩამოყალიბდა და აერთიანებს კრიტიკული ინფრასტრუქტურის (სატელეკომუნიკაციო, საფინანსო, სატრანსპორტო სექტორები), ასევე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტებს.



## ონლაინ კიბერლაბორატორია - კიბერსავარჯიშოების პორტალი WWW.CYBER-LAB.TECH

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერსავარჯიშოების დისტანციური პორტალის (www.cyber-lab-tech) პრეზენტაცია გაიმართა. კიბერლაბორატორია - ახალი ონლაინ რესურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების



ჯგუფისა (CERT.GOV.GE) და საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის („გრენა“) მიერ ევროკავშირის EaPConnect პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა.

პორტალის მიზანია კიბერუსაფრთხოების თემით დაინტერესებულ საქართველოს უნივერსიტეტების ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მიმართულების სტუდენტებს დაეხმაროს (გაგრძელება გვ. 4)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადრმავებაში, რათა უკეთ შეძლონ კიბერინციდენტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება. პორტალი ასევე სასარგებლო იქნება საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე IT პერსონალისთვის, ვისთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ორგანიზაციის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაში გამოვლენილ კიბერინციდენტებზე მყისიერი და ეფექტიანი რეაგირების მოხდენა.

პორტალზე განთავსებული სავარჯიშოები მრავალფეროვანია და ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კრიპტოგრაფია, რეალური ინციდენტების მავნე კოდის ანალიზი, რეალური სერვერების კიბერინციდენტების ე.წ. ლოგფაილების ანალიზი, რევერსული ინჟინერია, ქსელური ნაკადების ანალიზი, კიბერანალიტიკა და სხვა.



„მოხარულები ვართ, რომ დღეს წარვადგინეთ კავკასიის რეგიონში პირველი ონლაინ კიბერლაბორატორია, რომელიც უნიკალური შესაძლებლობაა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც კიბერუსაფრთხოების საკითხებით არის დაინტერესებული. მოგეხსენებათ, ქართულ ენაზე ასეთი ტიპის ტექნიკური შინაარსის მატარებელი მასალა პრაქტიკულად არ არსებობს. ჩვენი და ჩვენი პარტნიორების მიერ მასშტაბური სამუშაო იქნა გაწეული, რათა ეს მასალა ორიგინალის სახით მშობლიურ ენაზე შეგვექმნა, რომელსაც ანალოგი არ აქვს. აქვე მინდა

აღვნიშნო, რომ სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს ჩვენ მიერ შემუშავებული სავარჯიშოების უცხოენოვანი ვერსიების დამატებაც, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი რესურსის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას“, - **დავით ქვათაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მენეჯერი.

დაინტერესებულ მომხმარებელს მარტივი რეგისტრაციის გავლით ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია მოიპოვოს წვდომა სავარჯიშოებზე და გაეჯიბროს სხვა მომხმარებლებს, ასევე გაწევრიანდეს სხვადასხვა ჯგუფში (მაგ.: უნივერსიტეტების მიხედვით). სისტემის მეშვეობით მარტივად არის შესაძლებელი სწორად და მცდარად შესრულებული დავალებების ნახვა და რეიტინგში მიღწეული შედეგების მონიტორინგი.

სამომავლოდ დაგეგმილია პორტალის ფუნქციონალური ნაწილის კიდევ უფრო დახვეწა, ვირტუალური მანქანების ლაბორატორიის ეკოსისტემაში ინტეგრაცია, ახალი სავარჯიშოების დამატება და არსებული პლატფორმის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დანერგვა.

## **CERT-GOV-GE-ის წარმომადგენლებმა საერთაშორისო კიბერსავარჯიშოში მიიღეს მონაწილეობა**



29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით მოლდოვას რესპუბლიკის დედაქალაქ კიშინიოვში გაიმართა ამავე ქვეყნის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სერვისების განვითარების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიება - „რეგიონული კიბერკვირა და გამოფენა 2018 მოლდოვაში“.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (გაგრძელება გვ. 5)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კიბერსაფრთხილობაში სახელწოდებით „Cyber Drill“ და არსებული 8 კატეგორიიდან 4-ში პირველი ადგილი დაიკავეს.

აღნიშნული სავარჯიშოები მოიცავდა კიბერინციდენტებზე რეაგირებას, ქსელური ტრაფიკის, ე.წ. ლოგ ფაილის, მავნე კოდის ანალიზს, ასევე ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

### „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ISO 9001:2015 სერტიფიკატი 3 წლით გაუხანგრძლივდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ წარმატებით გაიარა ISO 9001:2015 სერტიფიკატის განახლებასთან დაკავშირებული აუდიტორების პროცესი და აღნიშნული სერტიფიკატის მოქმედების ვადა 3 წლით გაიხანგრძლივა.

აუდიტის ფარგლებში შემოწმდა სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში“ დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა და აღიარებულ იქნა

ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე შემდეგ სფეროებში:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობისა და კოორდინაციისთვის შესაბამისი სტანდარტების შემუშავება და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სახის მომსახურების დანერგვა;
- მონაცემთა შენახვისა და მიწოდების სტანდარტის დადგენა;
- ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა.

„აღნიშნული სერტიფიკატი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში“ ჩატარებული დეტალური აუდიტის შედეგების მიხედვით ჩვენ ვაკმაყოფილებთ ISO 9001:2015 სტანდარტის ყველა კრიტერიუმს, ეს კი ჩვენი ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოქმედი სუბიექტის მორიგ აღიარებას ნიშნავს,“ - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

### ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების ტრენინგი „საქაერონავიგაციაში“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „საქაერონავიგაციაში“ მაღალი რანგის მენეჯმენტისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგის მიმდინარეობისას ძირითადი ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მართვის სისტემა და ინფორმაციული უსაფრთხოება, რისკების მართვა და ორგანიზაციის სარგებელი აღნიშნული მიდგომების გამოყენებით. დამსწრე აუდიტორია ასევე გაეცნო ISO 27001:2013 სტანდარტის მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (გაგრძელება გვ. 6).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5) აღნიშნული სტანდარტების დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ამა თუ იმ ორგანიზაციისთვის, ისე ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის.

შპს „საქაერონავიგაციაში“ ჩატარებული ტრენინგი ასევე მოიცავდა პრაქტიკულ მაგალითებს, რომელთა გამოყენებამაც მეტი სიცხადე შეიტანა სტანდარტის მოთხოვნების მნიშვნელობის ილუსტრირების თვალსაზრისით.

ტრენინგის დასრულებისას მხარეებმა გამოხატეს სამომავლო თანამშრომლობის სურვილი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, რომელთა გამართულ და უწყვეტ მუშაობას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ისე იმ კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაში ტრენინგების კურსი შემუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს მიერ.



### იუსტიციის სახლების თანამშრომლებისთვის ქუთაისსა და თბილისში სატრენინგო ციკლი ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით თბილისსა და ქუთაისში სატრენინგო ციკლი ჩატარა, რომელსაც საქართველოს მასშტაბით მოქმედი იუსტიციის სახლების თანამშრომლები ესწრებოდნენ. ტრენინგი განახლებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულების, სისტემაში ახალი მომხმარებლების დარეგისტრირების წესებისა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენების საკითხებს ეხებოდა (გაგრძელება გვ. 7).



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 6) „მნიშვნელოვანია, რომ როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში ელექტრონული მმართველობის ფართოდ გავრცელებისა და საჯარო სექტორში თავმოყრილი ელექტრონული სერვისების მუნიციპალურ დონეზე მიწოდების უზრუნველსაყოფად მოსახლეობას დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ პორტალის დანიშნულებისა და მასზე რეგისტრაციის შესახებ. ამ პროცესთან უშუალო შემხებლობა იუსტიციის სახლების თანამშრომლებს აქვთ და აუცილებელია, რომ თავდაპირველად სწორედ ისინი ფლობდნენ ზუსტ ინფორმაციას პორტალის დანიშნულებისა და სისტემაში მომხმარებლების რეგისტრაციის წესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროცედურის გამარტივების მიზნით იუსტიციის სახლებში განთავსებულია სპეციალური

ბრენდირებული კუთხეები, სადაც მოქალაქეებს მარტივად შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა და სხვა საჭირო ინფორმაციის მიღება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგზე დეტალურად იქნა განხილული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მნიშვნელობა და სანდო ელექტრონული სერვისების დანიშნულება“,- ნიკოლოზ გაგნიძე, სქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

პორტალზე რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გამოყენებით (ონლაინ რეგისტრაცია), ისე იუსტიციის სახლში ერთჯერადი ვიზიტით. პორტალის ფუნქციონალის სრულად გამოყენებისთვის რეკომენდებულია რეგისტრაცია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი შეძლებს ისეთი სერვისებითაც ისარგებლოს, სადაც საჭიროა ელექტრონული ხელმოწერის განხორციელება.

### „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შემუშავებული პროგრამის მეშვეობით იუსტიციის სახლში კომუნალური გადასახადების ქვითრებში სწორი მონაცემების დაფიქსირებას აბონენტები ადგილზევე შეძლებენ



21 ნოემბერს, თბილისის იუსტიციის სახლში ახალი სერვისის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს კომუნალური გადასახადების ქვითრებში სწორი მონაცემების დაფიქსირება იუსტიციის სახლშივე შეეძლება.

სპეციალურად ამ სერვისისთვის სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ შეიქმნა სამუშაო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისგან ელექტრონული განცხადების მიღებას; ასევე, მონაცემების ელექტრონულ მიმოცვლას იუსტიციის სახლსა და კომპანიებს შორის.

სემეკისა და იუსტიციის სახლის თანამშრომლობის შედეგად, იუსტიციის სახლში შემდგომ ეტაპზე ასევე დაგეგმილია ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების კომპანიების სხვა მომსახურებების დანერგვა. პროექტში იუსტიციის სახლთან ერთად ჩართულია სემეკი, „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ და „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ